საპროექტო ტერიტორიის ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა

თბილისი

მირზა შაფის ქუჩა №5, ფერდობი



ხედი ნარიყალადან, 2012წ.

შემსრულებელი:

ხელოვნებათმცოდნე – გია ჭანიშვილი

2009 წელს, აბანო №7-ის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით ჩვენ ჩავატარეთ ამ აბანოთა კომპლექსის ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა, წინამდებარე ნაშრომში გამოყენებული იქნება მასალები ამ კვლევიდან. ამჟამად კი დამატებით ჩატარდა სპეციალური კვლევა აბანო №7-ის უკან არსებული ნაგებობების და მიმდებარე ფერდობის შესახებ და შემუშავდა რეკომენდაციები ამ კონკრეტულ ადგილზე ახალი მოცულობის აგებასთან დაკავშირებით.

შ პ ს

„ძველი უბანი“

ივნისი

2012

საპროექტო ტერიტორიის ადგილმდებარეობა

ახალმშენებარე ობიექტის საპროექტო ტერიტორია მდებარეობს თბილისის ისტორიული ნაწილის უბან აბანოთუბანში (ძველი თბილისის გამგეობა), **მირზა შაფის ქუჩა №5**. საპროექტო ადგილი ქუჩის ქვემოთ არსებულ ფერდობზეა. იგი ნაწილობრივ მოიცავს ფერდობის ქვედა ტერასაზე, **№7 აბანოს** უკან, დანგრეული ნაგებობების მიერ გამონთავისუფლებულ ადგილს.

მირზა შაფის ვიწრო აღმართი იწყება **იოსებ გრიშაშვილის** ქუჩიდან და რკალივით შემოსაზღვრავს თბილისის აბანოების უბანს. შემდეგ მიუყვება თაბორის მთის კალთებს და მიემართება ბოტანიკური ბაღისკენ. ამ აღმართის სიმაღლიდან პირდაპირ მოჩანს ნარიყალას ციხის ქვეშ შეფენილი სახლები, ქვემოთ კი გოგირდის აბანოები.

საპროექტო უბანი წარმოადგენს დამრეც ფერდობს, რომელიც ჩრდილო-დასავლეთისკენ უშუალოდ აბანოებისკენ არის მიმართული. **მირზა შაფის** ქუჩის ზედა პერიმეტრს აუყვება მინაშენებით სახედაკარგული, ძველი თბილისური საცხოვრებელი სახლები (ამჟამად მირზა შაფის აღმართის ზედა ნაწილის განაშენიანება მოხსნილია და მიმდინარეობს ამ მონაკვეთის პროექტირება).



აეროფოტო 2007 წ.





საპროექტო ტერიტორია ისტორიული განაშენიანების ზონის ფარგლებშია, ლანდშაფტური ზონის საზღვართან.

საპროექტო ტერიტორიის მახლობლად არქიტექტურულ ძეგლად აღრიცხულია:

აბანოს ქუჩაზე – აბანოები: „მეითარის აბანო“ „ჭრელი აბანო“, „ერეკლეს აბანო“, „გოგირდის აბანო“.
გრიშაშვილის ქუჩაზე – საცხოვრებელი სახლები: №№8 და 10 და აბანო №№2/7 და 11.
მირზა-შაფის ქუჩაზე – საცხოვრებელი სახლი: №8

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2007 წლის 01 ოქტომბრის № 3/181 ბრძანების დანართი №1

რუკა შედგენილია თბილისის საყრდენი გეგმის პროგრამის ფარგლებში, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს დაკვეთით, „გეოფრაფიკის“ მიერ, 2007 წ.

უბნის ისტორიულ-არქიტექტურული განვითარება

აბანოთუბანი (სეიდაბადი) თბილისის უძველესი უბანია. მდებარეობს მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, **მეტეხის პლატოს** მოპირდაპირე მხარეს. იგი **მტკვრის დაბლობსა** და **თაბორის მთის** კალთებზეა შეფენილი. შუა საუკუნეების მანძილზე ეს უბანი **თბილისის (კალას)** გალავნიდან ღრმა ხევით **(წავკისის წყალი)** იყო გამოყოფილი და სახელი **ტფილისი** საკუთრივ მას ეწოდებოდა აქ არსებული ცხელი გოგირდიანი წყლების გამო. **სეიდაბადი** მას შეერქვა XVII ს-ში – **როსტომ მეფის** დროს აქ გადმოსახლებული სპარსელების – სეიდების გამო. XIX ს-დან ეს უბანი **ხარფუხად** მოიხსენიებოდა.

XIX ს-ის დასაწყისამდე აქ სოფლური ტიპის დასახლება იყო. და ძირითადად ბანიანი სახლები შენდებოდა. 1819 წ-დან, მას შემდეგ რაც მოშალეს ნარიყალას ქვედა გალავანი, ხარფუხი ადმინისტრაციულად ქალაქს შეუერთდა. ამ დროიდან (XIX ს-ის 30-იანი წწ.), ქალაქის მმართველობის მოთხოვნით უკვე აუცილებელი ხდება სახლების მშენებლობისთვის პროექტების შედგენა. XIX ს-ის თბილისის გეგმებზე ნათლად ჩანს, თუ როგორ ყალიბდებოდა უბნის ქუჩათა სტრუქტურა.

XX ს-ის დასაწყისში უბანი უკვე ქალაქის განუყოფელი ნაწილია და დასრულდა ამ უბნის ურბანული სახით ჩამოყალიბების ერთი ეტაპი. XX ს-ის შუა პერიოდში დაიწყო მსხვილმასშტაბიანი სტრუქტურული ცვლილებების განხორციელება, რაც გაგრძელდა 80-იან წწ-ში (იხ. ქვემოთ). ამავე დროიდან ამ მიკროუბანს აბანოთუბანი ეწოდება. დღეს მიმდინარეობს აბანოთუბნის დასავლეთ ნაწილის – ნარიყალას ფერდობებზე შეფენილი განაშენიანების სარეაბილიტაციო სამუშაოები და **მირზა-შაფის** ქუჩის ზედა ნაწილის განაშენიანების პროექტირება.

(იხ. აქვე თბილისის ისტორიული გეგმები).

- *განაშენიანების გეოგრაფიული ხასიათი*

ამ უბნის ურბანული სახის ჩამოყალიბებაში გეოგრაფიულ ფაქტორს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. ქუჩათა ქსელის ფორმირებას აქ განაპირობებდა არსებული რელიეფი – თაბორის მთისა და სოლოლაკის ქედის გამყოფი დახრამული ხეობა და მისი მიმდებარე მტკვრისპირა ჭალები. განაშენიანების ფორმირებისთვის მნიშვნელოვანი იყო აგრეთვე ხვადასხვა მხარეს მიმართული გზები – წავკისის წყლის აყოლებით – კოჯრისკენ და მტკვრის დინების გაყოლებით – ქვემო ქართლისკენ. უბნის სამხრეთ-დასავლეთ, ზედა დახრამულმა ნაწილმა განაპირობა თავისუფალ ქუჩათა ქსელი, მტკვრისპირა დაბლობისკენ კი ქსელი მეტნაკლებად მოწესრიგებულია.

XX საუკუნის დასაწყისის თბილისის გეგმებზე **სეიდაბად-ხარფუხის** ქუჩათა ქსელი უკვე მთლიანად ჩამოყალიბებულია და მათში ასახულია ქალაქის ამ უბნის ურბანული განვითარების ბუნებრივი, მხატვრულ-ისტორიული პროცესი. ამიტომ ამ უბანში მოსალოდნელი ნებისმიერი გეგმარებითი და სარეკონსტრუქციო სახეცვლილების დროს, მაქსიმალურად უნდა იყოს გათვალისწინებული არსებულ ქუჩათა ქსელის და განაშენიანების თავისებურებანი, რათა არ დაიკარგოს ამ ურბანული სტრუქტურის მხატვრულ-ისტორიული ღირებულება.

- *სოციალური ასპექტები*

აბანოთუბანში (სეიდაბადში), როგორც ცნობილია, XVII ს-იდან ცხოვრობდნენ როსტომ მეფის დროს აქ გადმოსახლებული სპარსელები – სეიდები, რომელთა უმეტესობა ხელოსნობასა და წვრილ ვაჭრობას მისდევდა. XIX ს-დე ეს უბანი სოფლური ტიპის დასახლება იყო. ამ უბნის ფუნქციურ დატვირთვას ძირითადად განაპირობებდა გოგირდის აბანოთა სიმრავლე და სავაჭრო ბაზარ-მოედნები. უბნის სოციალური სტრუქტურა და ფუნქციური დატვირთვა აქ პრაქტიკულად უცვლელია XIX ს-ის ბოლომდე და სოციალური დაკვეთა, გეოგრაფიულ ფაქტორთან ერთად, აქაც გარკვეულად განაპირობებდა ქუჩათა სტრუქტურას და ნაგებობათა გარეგან სახეს, რაც აისახებოდა ნაგებობათა ხასიათზე და ხარისხზეც.

სოციალურ ფენათა მკვეთრმა დიფერენციაციამ XIX-XX სს-თა მიჯნაზე განაპირობა პრესტიჟული უბნების და მათთან მიმდებარე საშუალო და დაბალი სოციალური ფენის სამოსახლოები. ამ დროისთვის **სეიდაბადში**, რომელიც უკვე **ხარფუხად** იწოდება, კვლავ იგივე სოციალური ფენა სახლობს, მაგრამ უკვე შეძლებულთა საცხოვრებლებიც შენდება.

უბნის სოციალური სტრუქტურა არ შეცვლილა საქართველოს გასაბჭოების შემდეგაც. 1990-იანი წლებიდან ამ უბნისადმი დამოკიდებულება შეიცვალა და იგი თანდათან პრესტიჟულ უბნად ყალიბდება. ამან განაპირობა მშენებლობის ინტენსივობის გაზრდა.



აბანოთუბნის ხედი მეტეხის პლატოდან, 2009წ.

- *განაშენიანების სტრუქტურის განვითარება*



თბილისის გეგმა, 1735წ

საპროექტო ტერიტორიის და მიმდებარე უბნის ურბანულ განვითარებას შეგვიძლია თვალი გავადევნოთ XVIIIს-ის დასაწყისიდან. **ვახუშტი ბატონიშვილის 1735 წლის თბილისის გეგმაზე** ეს უბანი უკვე განაშენიანებულია. მტკვრის პირზე ბაღებია, თვით სეიდაბადი კი იოს. გრიშაშვილის დღევანდელი ქუჩის გარდი-გარდმო მჭიდროდ არის დასახლებული.

ამ დროისთვის აქ სოფლური ტიპის დასახლებაა და **წავკისის წყლის** ორივე ნაპირზე – ბანიანი სახლების ქაოტური განაშენიანება. მას შემდეგ, რაც უბანი ოფიციალურად თბილისის ფარგლებში შეიყვანეს (1819წ.) და ქალაქის მმართველობის მოთხოვნით უკვე აუცილებელი ხდება სახლების მშენებლობისთვის პროექტების შედგენა (XIX ს-ის 30-იანი წწ.), გარკვეულწილად იწყება **სეიდაბადი-ხარფუხის** ურბანული განაშენიანების მოწესრიგება.

XIX ს-ის ბოლოს ქალაქის ეს ნაწილი მჭიდროდ არის განაშენიანებული და მისი საზღვრები მიჰყვება ბუნებრივ-გეოგრაფიულ მოცემულობებს. ამოავსეს წავკისის წყლის ხრამის ქვედა ნაწილი და ორივე მხარეს განაშენიანდა **აბანოს ქუჩა.** ბანიანი სახლების ადგილს თბილისური ტიპის აივნიანი სახლები იკავებს. აქა-იქ თავს იჩენს არქიტექტურული ელემენტები ფსევდოკლასიცისტური და ფსევდორენესანსული რეპერტუარიდანაც.

ამ უბნის სახეს იმ დროსაც განსაზღვრავდა აბანოთა სიმრავლე. სავაჭრო რიგებით „გაჭედილი“ „შაითან ბაზრიდან“, წავკისის ხევის აყოლებით, მოჩანდა აბანოების ერთმანეთზე ახუნძლული გუმბათები, კლდისპირზე კი გადმომდგარი – აივნიანი სახლები. არქიტექტურულ ესთეტიკას განაპირობებდა ერთის მხრივ სტრუქტურული დაპირისპირება – რთულ ლადშაფტურ გარემოში ჩაწერილ აბანოთა ბანიანი, სოლიდური მოცულობებისა, ქანობებზე გადმოკიდებულ შვეულად დასახსრულ კონსტრუქციებთან და ამავე დროს განსხვავებულად დაფერილი ხის ფაქტურისა და აგურისფერი ტონების მხატვრული სინთეზი. უბანი თანდათან სტრუქტურულად ერთგვაროვანი ხდება, რასაც განაპირობებდა ასევე ავთენტური სამშენებლო მასალა და სამშენებლო ტექნიკა.



თბილისის გეგმა, 1800წ



თბილისის გეგმა, 1902წ

აღსანიშნავია, რომ დღევანდელი საპროექტო ტერიტორიაზე და მის ირგვლივ განაშენიანებისა და გამწვანებული ლანდშაფტის წილი უცვლელი რჩებოდა ბოლო სამი საუკუნის მანძილზე. ეს გარემოება კარგად ჩანს თბილისის ისტორიულ გეგმებზე, ძველ ჩანახატებსა და საარქივო ფოტოებზე. საპროექტო ადგილი მდებარეობდა გამწვანებული უბნის საზღვარზე და დღესაც ასევეა. იხ. აქვე ზევით 1800 და 1902 წლის გეგმები სადაც კარგად ჩანს ეს საზღვარი.



მხატვ. ნ. ჩერნეცოვი, გრავიურა 1831წ.



1850-იანი წწ.



XIX ს-ის 80-იანი წწ. ფოტო



XIX ს-ის 80-იანი წწ.



1880-იანი წწ-ის დასასრული



1920-იანი წწ.

ტერიტორია საპროექტო ადგილის ირგვლივ XVIIIს-ში ეკუთვნოდა ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის **გიორგი XII-ის ასულ თამარს** და იქვე ფერდობის ძირში არსებობდა გვიანი შუა საუკუნეების დროინდელი **აბანო**. XIX ს-ის დასაწყისში სამეფო ოჯახის წევრების რუსეთში გადასახლების შემდეგ ეს ადგილი ხაზინას გადაეცა და აქ არსებული აბანო **სახაზინო აბანოდ** მოიხსენიებოდა. შემდეგ ეს ტერიტორია თბილისელ მეწარმე **ზუბალაშვილის** ხელში გადადის, 1880-იან წლებში კი შეისყიდა ასევე თბილისელმა მეწარმემ **ივანე მირზოევმა** და ფერდობის ძირში არსებული ძველი აბანო გააფართოვა. შემორჩენილია 1880-იანი წლებით დათარიღებული ძველი აბანოს რეკონსტრუქციის პროექტი. მან ასევე გაამაგრა ფერდობი აგურის წყობის საყრდენი კედლით. ოდნავ მოგვიანებით ჩატარდა აბანოს რეკონსტრუქციის II ეტაპი და მას მთელ სიგრძეზე დაემატა კიდევ ერთი ფრთა ხოლო ბოლოში დაემატა საქვაბე აგურის მილით. უფრო მოგვიანებით დაემატა მეორე საქვაბეს ორქანობიანი შენობა, ხოლო დასავლეთიდან, მთელ სიგრძეზე მიშენდა ასევე ორქანობიანი წაგრძელებული მოცულობა – სამრეცხაო.



1890-იანი წწ



1920-იანი წწ.

XX ს-ის II ნახ-ში მტკვრის სანაპიროების და მიმდებარე უბნების მსხვილმასშტაბიანი სტრუქტურული ცვლილებები ამ მონაკვეთსაც შეეხო. მოხდა წვრილი ურბანული სტრუქტურების ერთგვარი „გამოხშირვა“ და ფართო სივრცითი არეების შექმნა. აბანოთუბნის არქიტექტურული ხედი გაიხსნა და გაშლილი პლანით წარმოჩინდა.



ხედი ავლაბრიდან 2005 წ.

1980-იან წწ-ში რესტავრაცია ჩაუტარდა აბანოებსა და საცხოვრებელ სახლებს. მოიხსნა ზედმეტი მინაშენები და აბანოთუბანმა დღევანდელი სახე მიიღო.



საპროექტო ტერიტორია ფერდობის სამხრეთ მხარეს ამჟამად შემოფარგლულია ბეტონის ფილებიანი ღობით. საგულისხმოა, რომ დაახლოებით ეს ადგილია აღნიშნული განაშენიანების საზღვრად XIX-XX სს-ის თბილისის თითქმის ყველა გეგმაზე. XXს-ის II ნახ-ში, ამ ღობესთან, ფერდობზე, ბოლო აბანოს თავზე მიწის ქვეშ მოაწყვეს რკინა-ბეტონის წყლის აუზები, რაც აღნიშნულია ტოპო-გეგმაზე. ამავე დროს შემორჩენილი იყო უფუნქციოდ დარჩენილი საქვაბეს ნახევრად დანგრეული ნაგებობა და აგურის მილი.

2009-2010 წწ-ში რესტავრაცია ჩაუტარდა №7 აბანოს. განახლდა მისი გადახურვა და ნახევარსფერული გუმბათები. მოიხსნა მასზე დასავლეთიდან მიდგმული წაგრძელებული ნაგებობა და მის ნაცვლად მოეწყო ღია კაფე. 2012 წელს დაიწყო წავკისისწყლის ხეობის რეაბილიტაციის პროცესი. პროექტით გათვალისწინებულია მდინარეს კალაპოტს დაუბრუნდეს თავდაპირველი ბუნებრივი სახე, რის გამოც მოიხსნა ხეობის გადამხურავი რკინაბეტონის გვირაბი.

- *ნაგებობები საპროექტო ტერიტორიაზე*



ნაგებობები საპროექტო ტერიტორიაზე, 2009წ



საპროექტო ადგილი აბანოს რესტავრაციამდე, 2009წ



საპროექტო ტერიტორია დღეს, 05.2012წ



კლასიფიცირებული გეგმა



საპროექტო ადგილი აბანოს რესტავრაციამდე, 2009წ

კლასიფიცირებულ გეგმაზე აღნიშნულია ფერდობზე, აბანოს თავზე მიწაში მოწყობილი წყლის ავზები და უფუნქციო საქვაბე აგურის წყობის მილით. ეს გვიანდელი ნაგებობები ამჟამად მონგრეულია. ამგვარად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საპროექტო ტერიტორიაზე, სხვადასხვა დროს, XIX-XX სს-ის განმავლობაში, იდგა განსხვავებული მოცულობის და დანიშნულების ნაგებობები, მაგრამ განაშენიანების ფარგლები არასდროს სცილდებოდა ფერდობის ჩამკეტი, დღეს არსებული ბეტონის ფილებიანი ღობის ფარგლებს.

- *აბანოთუბნის განაშენიანების ხასიათი*

საპროექტო მონაკვეთი უნდა განვიხილოთ აბანოთუბნის მთელი განაშენიანების კონტექსტში. ამჟამად აბანოთუბნის არქიტექტურულ სახეს განსაზღვრავს რამდენიმე სივრცობრივი, მხატვრულ-მოცულობითი კომპონენტი:



უბნის განაშენიანების ხედი გრიშაშვილის ქუჩის დასაწყისიდან, 2009წ.

ზედა მარცხენა ნაწილს მოიცავს თაბორის მთა და ფერდობის გასწვრივ **მირზა შაფის** აღმართზე შეფენილი განაშენიანება (ამჟამად აღმართის ზედა ნაწილის განაშენიანება მოხსნილია და მიმდინარეობს ამ მონაკვეთის პროექტირება). აღმართს აუყვება გვიანდელი მინაშენებით ნაწილობრივ სახედაკარგული, ორ-სამსართულიანი საცხოვრებელი სახლები, თუმცა მათი სტრუქტურა და მოცულობა ჩვეულია ამ უბნის ურბანული ქსოვილისთვის და კარგად არის მორგებული კლდოვან რელიეფს. ეს განაშენიანება თავიდანვე თვალში გვხვდება და აყალიბებს პერსპექტიულ მასშტაბს. შუა ნაწილი კი დაკავებული აქვს ხეობის ტაფობში გამართულ **აბანოების მონაკვეთს**. აბანოთა ბრტყელი სტრუქტურები და ნახევარსფერული გუმბათები ერთიან ფერადოვან ლაქად აღიქმება და ასევე მონაწილეობს საერთო მასშტაბის განსაზღვრაში.



ნარიყალას ფერდობის განაშენიანება, 2009წ

მარჯვენა ფლანგზე, სოლოლაკის ქედის ქარაფებზე, ბოტანიკური ქუჩისა და აბანოს ქუჩისკენ კლდეზე გადმოკიდებული აივნიანი ნაგებობებია. იგი ოდნავ რაკურსშია და მხოლოდ უბანში ღრმად შესვლის შემდეგ აღვიქვამთ ფრონტალურად. განაშენიანება აქ კასკადურია – ქედის ქარაფოვან ფერდს აყოლებული. უბნის 1980-იანი წლების რესტავრაციისას მეტნაკლებად მოწესრიგდა მისი ქვედა ნაწილის მხატვრული სახე. ამჟამად მიმდინარეობს უბნისათვის შესაბამისი სარეაბილიტაციო სამუშაოები მის ზედა ნაწილშიც.

- *ბოლოდროინდელი ცვლილებები ამ უბნის ურბანულ სტრუქტურაში*

1990-იანი წლებიდან და განსაკუთრებით XX-XXI სს-თა მიჯნაზე, ქალაქგეგმარებითი საერთო სტრატეგიის დაუსახავად თბილისის ძველ უბნებში განხორციელდა ისტორიულად ჩამოყალიბებული განაშენიანების შეუსაბამო მსხვილმასშტაბიანი მშენებლობა, რამაც დაარღვია ქუჩების მასშტაბი და ხასიათი. გარკვეულწილად ეს ვითარება გამოიწვია ახალმა სოციალურმა დაკვეთამ და მას ხელი შეუწყო არსებულმა პოლიტიკურმა და კანონმდებლობითმა კრიზისმა. ამ გარემოებაზე გარკვეული გავლენა იქონია ადგილობრივ მობინადრეთა ინტერესებმაც – აუტანელი ყოფითი პირობები მოძველებულ სახლებში და საბინაო პირობების გაუმჯობესების იმედი ინვესტირების შემთხვევაში.



შედარებით უკეთესი მდგომარეობა იყო აბანოთუბანში, თუმცა მსხვილმასშტაბიანმა სასტუმრომ სკვერში დისონანსი შეიტანა არსებულ განაშენიანებაში. ასევე მირზა-შაფის ზედა ნაწილში მთლიანად მოიხსნა განაშენიანება რელიეფთან ერთად და თუ არ დამუშავდა სათანადო პროექტი, შესაძლოა საფრთხე შეექმნას უბნის ისტორიულად ჩამოყალიბებულ არქიტექტურულ-ლანდშაფტურ სახეს.



ამასთან უბნის საცხოვრებელი სახლების არქიტექტურული სახე დამახინჯებულია შემდეგდროინდელი მინაშენებით, რაც ძირითადად მოსახლეობის მიერაა გაკეთებული თვითნებურად, უპროექტოდ და არქიტექტურული გააზრების გარეშე.

დასკვნა და რეკომენდაციები

ამგვარად, ჩვენი კვლევის მიზანი იყო დაგვედგინა საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ნაგებობების მხატვრულ-არქიტექტურული ღირებულება, აქ არსებული განაშენიანების ჩამოყალიბების და განვითარების ქრონოლოგია და ლანდშაფტის ათვისების თავისებურებები. ასევე მოცულობითი აქცენტების მასშტაბური დამოკიდებულება ირგვლივ არსებულ განაშენიანებასთან და ქალაქის ლანდშაფტთან. ყოველივე ეს წარმოადგენს ამ ისტორიული უბნის ზოგად არქიტექტურულ-სივრცობრივ სახეს.

ყოველივე ეს აუცილებელია რათა შემუშავდეს რეკომენდაციები ახალი მოცულობების მოსაწყობად, საპროექტო ადგილის უბნის დანარჩენ ტერიტორიასთან კონტექსტუალური არქიტექტურულ-ლანდშაფტური ჰომოგენურობის შენარჩუნებით.

პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ აბანოთუბნის ეს მონაკვეთი ყოველთვის გამოირჩეოდა განაშენიანების მხატვრულ-არქიტექტურული სახის ერთგვაროვნებით, გარდა იმ დროისა როდესაც ხდებოდა გადასვლა ბანური განაშენიანებიდან ქანობიან განაშენიანებისკენ. ეს გარემოება კარგად არის ასახული საარქივო ჩანახატებსა და ფოტოებზე. ამიტომ გარკვეულწილად ეს ლოკალური უბანი შეგვიძლია **ჰომოგენურ მონაკვეთადაც განვიხილოთ,** რაც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს აქ ნებისმიერი ჩარევის დროს.

ამ უბნის განაშენიანების დღევანდელი სახე, იმ ისტორიულ-სოციალური და მხატვრულ-არქიტექტურული ფაქტორების შედეგია, რაც საუკუნეების განმავლობაში, გარკვეული დროის მანძილზე ჩაისახა, განვითარდა და ჩამოყალიბდა განსაზღვრულ გეოგრაფიულ რელიეფზე. ამ რეალიებმა განაპირობა უბნის ურბანული ქსოვილისის არქიტექტურული მახასიათებლები, რაც ზოგადად საერთოა ძველი თბილისისთვის, თუმცა უბანს გააჩნია საკუთარი კრიტერიუმებიც.

ამ უბნის ძირითად არქიტექტურულ მახასიათებლად უნდა ჩაითვალოს რთულ რელიეფზე განხორციელებული გეგმარებითი, სივრცობრივი და მხატვრული ხერხების სინთეზი. აქ თითოეული ნაგებობა მნიშვნელოვნად მონაწილეობს უბნის საერთო მხატვრულ-არქიტექტურული სახის ჩამოყალიბებაში და ყოველი მათგანი საინტერესოა არა მხოლოდ გეგმარებითი სტრუქტურით, არამედ რელიეფზე განთავსების ორიგინალური ხერხით.

ამიტომ, კიდევ ერთხელ ხაზგასმით გავიმეორებთ, რომ ამ უბანში მოსალოდნელი ნებისმიერი გეგმარებითი და სარეკონსტრუქციო სახეცვლილების დროს, მაქსიმალურად უნდა იყოს გათვალისწინებული არსებულ ქუჩათა ქსელის და განაშენიანების თავისებურებანი, რათა არ დაიკარგოს ამ ურბანული სტრუქტურის მხატვრულ-ისტორიული ღირებულება.

ამასთან, მიგვაჩნია, რომ რომელიმე უბნის ძირეული კვლევა უნდა იყოს არა მხოლოდ თვითმიზანი კვლევისთვის (თუმცა ამგვარი კვლევების ჩატარება თავისთავად აუცილებელია თბილისის არქიტექტურის შესწავლისათვის), არამედ მისი საშუალებით მოხდეს ტრადიციულად ჩამოყალიბებული ურბანული ქსოვილის სიღრმისეული შეგრძნება და იმ მიზეზების ნათლად დანახვა, რამაც განაპირობა განაშენიანების ესა თუ ის ტიპი ან სახე.

სამწუხაროდ უკანასკნელი წლების მანძილზე ძველ თბილისში, გამოვლინდა მანკიერი ახალმშენებლობითი პროცესი, როდესაც საერთოდ უგულვებელყოფილი იყო უბანთა არქიტექტურული სახე და გათვალისწინებული – მხოლოდ მენაშენეთა ინტერესები. ასეთი მიდგომით აგებული ნაგებობები, როგორც წესი, შეუსაბამოა უბნისთვის როგორც მასშტაბით, ასევე მოცულობითი და მხატვრული ფორმებით. ხშირ შემთხვევაში უგულვებელყოფილია მშენებლობის ხარისხიც.

ახალმშემებლობის გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში სასურველი იქნება, ამ უბნის ისტორიულ-არქიტექტურული კვლევის რეკომენდაციების გათვალისწინებით, ისეთი ნაგებობის აგება, რომელიც შეესაბამება უბნის ხასიათს და უმტკივნეულოდ ჩაეწერება უბნის ისტორიულ განაშენიანებაში. ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფასეულობათა დაცვას, რაც ახასიათებს ამ მიკროუბანს:

- მნიშვნელოვანია, რომ ახალმშენებლობის არქიტექტურული სახე განვიხილოთ მთელ მიმდებარე განაშენიანებასთან ერთად, რადგან დამრეც რელიეფზე განვითარებული საპროექტო ადგილი მოჩანს მრავალი წერტილიდან და განსაზღვრავს უბნის ერთიან არქიტექტურულ სახეს;

- მთელი ეს განაშენიანება აწყობილია აქ თავდაპირველად არსებულ აბანოთა სტრუქტურებზე და ფერდობებზე ჩასახულ ქუჩაბანდების ქსელზე. ამ ქსელის ჩამოყალიბება კი განაპირობა არსებულმა რელიეფმა და მისი განვითარება მოხდა ორგანულად, ცხოვრებისეულ საჭიროებიდან გამომდინარე;

- ასევე პერსპექტიული განვითარების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, რომ როდესაც ახლო მომავალში დასრულდება აბანოთუბნის და ნარიყალას ციხის მიმდებარე ფერდობის განაშენიანების რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია, ამ უბნის თითოეულ ურბანულ კვანძს სასურველია ჰქონდეს უბანში მისი ადგილისთვის სათანადო მხატვრულ-არქიტექტურული სახე. ამისთვის საჭიროა მთელი უბნის ზოგადი სტრუქტურის წინასწარი განსაზღვრა. სასურველია, რომ გეოგრაფიული მოცემულობიდან გამომდინარე უბანში შენარჩუნებული იყოს უბნის ქვემოთ მოცემული სქემა.

– ნარიყალას ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ ფერდობზე ჩამოყალიბებულია (აბანოს ქუჩის და ბოტანიკური ქუჩის განაშენიანება) ტერასულ ქუჩებზე ამფითეატრულად შეფენილი განაშენიანება „თბილისური“ ტიპის აივნიანი ფასადებიანი ორქანობიანი და ალაგ-ალაგ ბანურგადახურვიანი სტრუქტურებით, რომლის შვეულ აქცენტებად წარმოჩინდება „ჭრელი აბანოს“ დაჩითული პორტალი „პარტერში“, მინარეთის გუმბათი შუა იარუსზე და ნარიყალას ციხის ქონგურები – დაგვირგვინებული წმიდა ნიკოლოზის ეკლესიის გუმბათით. ამ განაშენიანებისათვის დამახასიათებელი იქნება თავისი ფერადოვანი გამა.

– აბანოთუბნის მეორე ხედს წარმოადგენს აღმოსავლეთი ქედის შუაწელის შემომფარგვლელი, მირზა-შაფის ქუჩის რკალი და მისი განაშენიანება. ქუჩის პირველი მონაკვეთი შემდგომში უხეში მინაშენებით დამახინჯებული საცხოვრებელი სახლებით რეაბილიტაციის მოლოდინშია და იმედია, რომ ამ საინტერესო ნაგებობათა რეაბილიტაცია (რომლის ერთ-ერთი სახლი არქიტექტურული ძეგლია) სათანადოდ ჩატარდება. ასევე იმედია, რომ საბოლოოდ დასრულდება და დამტკიცდება მირზა-შაფის ზედა ნაწილის სათანადო პროექტი. ამ „რკალის“ განაშენიანება მოპირდაპირე მხრის მსგავსია – რელიეფს მორგებული საცხოვრებელი სახლები.

– უბნის მესამე ხედია წავკისისწყლის ხეობის შუა ნაწილი, სადაც მოვაკებულ ადგილზე აბანოების ბანურგადახურვიანი სისტემებია სფერული გუმბათებით. მისთვის დამახასიათებელია სიბრტყეზე გაწელილი სტრუქტურები; ტერასულობა; აგურის წყობის ესთეტიკა; თბილი ტონები; აქ მნიშვნელოვანია, რომ ეს სტრუქტურა ზედა ნაწილისგან გამოიყოფა ლანდშაფტური ეერთეულით – მირზა-შაფის ქუჩის რკალით შემოფარგლული გამწვანებული ფერდობით (ასევე ყურადღება უნდა მიექცეს გრიშაშვილის ქუჩის განაშენიანებასაც სადაც აბანოების მოპირდაპირე მხარე მოიცავს ორ-სამსართულიან საცხოვრებელ სახლთა რიგს).

ამგვარად ჩამოყალიბებულია ლანდშაფტურ გარემოსთან მორგებული და ერთიან მასშტაბს დაქვემდებარებული არქიტექტურულ-გეგმარებითი კომპოზიცია, სივრცეში განაწილებული ახლო და შორი პლანებით.

– ამჟამად როდესაც უნდა გაიხსნას წავკისისწყლის კალაპოტი, ხეობის შუა ნაწილი აბანოთუბანს კიდევ ერთ განსხვავებულ არქიტექტურულ-ლანდშაფტურ ერთეულს შეიძენს – ბუნებრივ მდინარეს ურბანული სტრუქტურებით გაწყობილი ნაპირებით. ეს ლანდშაფტური ერთეული ზედა გამწვანებულ ფერდობთან მნიშვნელოვანი შემადგენელი იქნება აბანოთუბნის ლანდშაფტური არქიტექტურისა.

– „ჩვენი“ შესასწავლი საპროექტო ადგილიც ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ. იგი ნაწილი გახდება აბანოთუბნის შუა მონაკვეთისა და მხატვრუ-არქიტექტურული მახასიათებლებით და სტრუქტურით მის უშუალო გაგრძელებას უნდა წარმოადგენდეს.

იგი განიხილება რამდენიმე მიმართულებიდან – მტკვრის მარცხენა სანაპიროდან, მეტეხიდან; აბანოთუბნის ქვედა მისადგომებიდან; ბოტანიკური ქუჩის მიმდებარე განაშენიანებიდან და ნარიყალადან. იგი იქნება ტურისტული მარშრუტების თითქმის ყველა მონაკვეთის მუდმივ თვალსაწიერზე. მნიშვნელოვანია ასევე, რომ იგი მდებარეობს ლანდშაფტური ზონის საზღვარზე და უშუალოდ ემიჯნება მირზა-შაფის ქვედა გამწვანებულ ფერდობს. ყოველივე აქედან გამომდინარე სასურველია –

- გათვალისწინებული იქნას და არ დაირღვეს უბნის ერთიანი მასშტაბი – როგორც განაშენიანების, ასევე – ლანშაფტური მოცულობების;
- ანგარიში უნდა გაეწიოს რელიეფის თავისებურებას, რაც კარგად იყო გათვლილი უბნის განვითარების მთელ მანძილზე;
- სასურველია მოხდეს დენადი გადასვლა ხეობის დამრეც ტაფობში კასკადურად განფენილ აბანოების დამჯდარ პროპოციებსა და მირზა შაფის ქუჩის პერსპექტიულად დაწვრილებულ მასშტაბს შორის;
- სასურველია თარაზულ გადახურვიანი, რელიეფზე გაწელილი და სივრცეში დასახსრული მოცულობების დაპროექტება. მას არ უნდა ჰქონდეს „სოლოდური“, დიდი მასის სახე;
- ახალი მოცულობების (როგორც ნაგებობების, ასევე ფერდობის საყრდენი კედლების) ფასადების მხატვრული სახე, რიტმული დანაწევრება და ფერადოვნება არ უნდა არღვევდეს უბნის ამ მონაკვეთის ჩამოყალიბებულ ხასიათსა და მხატვრულ მთლიანობას;

- არ არის სასურველი უბნის მარჯვენა ფლანგისთვის დამახასიათებელი არქიტექტურული ესთეტიკის (ხის ფაქტურის აივნები, აფერადებული ფასადები) მექანიკური გადმოტანა, რამაც შესაძლოა ერთგვარი ბუტაფორიული ელფერი შესძინოს ფასადებს;

- უპირატესობა უნდა მიენიჭოს ტრადიციული სამშენებლო მასალის გამოყენებას და აგურის ბუნებრივ ფაქტურას;

- სართულიანობის განსაზღვრისას ანგარიში უნდა გაეწიოს ისტორიულად განვითარებულ და XX სი-ს დასაწყისში ჩამოყალიბებულ განაშენიანებას;

- შესაძლებელია, ვიზუალურად ნაკლებად აქტიური, ახალი გამომსახველობითი ფორმების ძიებაც, ისტორიულად ჩამოყალიბებულ ურბანულ მახასიათებლებთან კონტექსტში;

- გასათვალისწინებელი იქნება ასევე მშენებლობის მაღალი ხარისხიც;

- სასურველია მიმდებარე ტერიტორიის კეთლმოწყობაც;

- ყოველივე ამის გათვალისწინებით გაუმჯობესდება დარღვეული ურბანული ქსოვილი და ამავე დროს მიკრო უბანს შეუნარჩუნდება თვითმყოფადი არქიტექტურული სახე.

ხელოვნებათმცოდნე – გია ჭანიშვილი
04. 06. 2012



ხედი მირზა-შაფის აღმართიდან, 2012წ.